

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი №2

ქ. აბაშა, 2018 წლის 8 თებერვალი.

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა.

სხდომა დაიწყო: 12.00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გია მიგინეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: იაგო თოდუა, გელა კაჭარავა, გენო მიმინოშვილი, მიხეილ დარცმელიძე, ავთანდილ გუნია და კოკი ჩაჩავა.

სხდომას არ ესწრება კომისიის წევრები: ბაჩუკი ქვილითაია და კახა ცანავა.

ღღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის ქოლოზნის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. გუგუნაყათის პირველი ქუჩისათვის №1-დან №27-ის ჩათვლით და №2-დან №22-ის ჩათვლით, ასევე ჩიხისათვის, ანზორ ლეჟავას სახელის მინიჭების თაობაზე ინიციატივის განხილვა.

მომხს. გ. მიგინეიშვილი

2. აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. მაცხოვრისკარის №1 ქუჩისათვის, დანიელ თოფურიას სახელის მინიჭების თაობაზე ინიციატივის განხილვა.

მომხს. გ. მიგინეიშვილი

ადმინისტრაციული წარმოების დასახელება:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის ქოლოზნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. გუგუნაყათის პირველი ქუჩისათვის №1-დან №27-ის ჩათვლით და №2-დან №22-ის ჩათვლით, ასევე ჩიხისათვის, ანზორ ლეჟავას სახელის მინიჭების თაობაზე ინიციატივის განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ გია მიგინეიშვილმა განმარტა, რომ კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული ინიციატივა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აბაშის მუნიციპალიტეტის ქოლოზნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. გუგუნაყათის პირველი ქუჩისათვის №1-დან №27-ის ჩათვლით და №2-დან №22-ის ჩათვლით, ასევე ჩიხისათვის, ანზორ ლეჟავას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე სრულყოფილია და შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კომისიის წევრებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ გააჩნიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად აბაშის მუნიციპალიტეტის ქოლოზნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. გუგუნაყათის პირველი ქუჩისათვის №1-დან №27-ის ჩათვლით და №2-დან №22-ის ჩათვლით, ასევე ჩიხისათვის, ანზორ ლეჟავას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე მხარი დაუჭირეს: გია მიგინეიშვილმა, იაგო თოდუამ, გელა კაჭარავამ, გენო მიმინოშვილმა, მიხეილ დარცმელიძემ, ავთანდილ გუნიაძემ და კოკი ჩაჩავამ.

წინააღმდეგი: არცერთი.

დასკვნა

საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიამ მიიღო დასკვნა აბაშის მუნიციპალიტეტის ქოლოზნის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ.

გუგუნაყათის პირველი ქუჩისათვის №1-დან №27-ის ჩათვლით და №2-დან №22-ის ჩათვლით, ასევე ჩიხისათვის, გამოჩენილი ქართველი კალათბურთელისა და საზოგადო მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის, ანზორ ლეჟავას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე. (დასკვნა თან ერთვის).

ადმინისტრაციული წარმოების დასახელება:

2. აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაცხოვრისკარის №1 ქუჩისათვის, დანიელ თოფურას სახელის მინიჭების თაობაზე ინიციატივის განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ გაა მიგინეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული ინიციატივა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაცხოვრისკარის №1 ქუჩისათვის დანიელ თოფურას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე სრულყოფილია და შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კომისიის წევრებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ გააჩნიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. მაცხოვრისკარის №1 ქუჩისათვის დანიელ თოფურას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე მხარი დაუჭირეს: გაა მიგინეიშვილმა, იაგო თოდუამ, გელა კაჭარავამ, გენო მიმინოშვილმა, მიხეილ დარცმელიძემ, ავთანდილ გუნიამ და კოკი ჩაჩავამ.

დასკვნა

საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიამ მიიღო დასკვნა აბაშის მუნიციპალიტეტის ნორიოს ადმინისტრაციული ერთეულში, სოფ. მაცხოვრისკარის №1 ქუჩისათვის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის დანიელ თოფურიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2018 წლის 8 თებერვალს 13 საათსა და 30 წუთზე.

კომისიის თავმჯდომარე:

გ. მიგინეიშვილი